# ახალი სხივი

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

კვირა, 14 მარტი 1910 წ. № 33

გაზეთი „ახალი სხივი" ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. ნახევარი წლით 4 მან. წლიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. [illegible] 10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი· გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ერთი შაური. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ახალი სხივი"

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გაზეთი ღირს: თფილისსა და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში „ახალი სხივის" კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ქიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კეცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა № 3, შემოსავალი დიდი ვანქის ქუჩიდან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома", **Калистрату Конст. Цуладзе.**

---

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 14 მარტს, წმ. ნინოს სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი

**კონსტანცია** სტანისლავის ასულის **ტურიაშვილის**

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება დილის 11 ½ საათზე.

---

ქართული თეატრი — წარმოდგენა № 1.

**კვირას, 14 მარტს** 1910 წ ქართული დრამატ. მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება თანამედროვე ცნობილი დრამა ქართველ ინტელიგენტთა ცხოვრებიდან

I

**მეგობრობა**

4 მოქ. ნ. შიუკაშვილისა.

II

**დრამატიული საზოგადოების წევრი**

კომედია 2 მოქ. ივ. გომართელისა.

არდგენენ ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ნ. გამყრელიძისა, ა. კარგარეთელი, ნ. კოლხიდელი, ბ. ნებიერიძისა; ბ-ნნი: ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ი. იმედაშვილი-ხაშმელი, იმხნელი, დ. მგალობლიშვილი, კ. ჩელიძე, შ. საფაროვი.

ადგილების ფასი ძლიერ დაკლებულია: ლოჟები 6 მ. დან 2 მ.-დე; პარტერი 2 მ.-დან 60 კ.-მდე; გალერეა 40 კ.-დან 20 კ.-მდე; მოწაფეთათვის 40 კ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

მორიგი რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ქართველ მსახიობთა ამხანაგობა.

---

## თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტკილის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. მკურნ., ოთხშ. და პარ. 10½—11.
**ბურკო გ. ა.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.
**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე, კვირას გარდა 2½—3½ ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**მანსვეტოვი ვ. მ.** შინაგანი. ორშაბათ., ოთხშ. და პარ. 1—2 ს.
**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.
**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—2½ ს.
**ფირალოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.
**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—2½ ს.
**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—10 ს,
**სოგოლევსკი გ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე. 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—94)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შელავათიანი საფასურით.

---

## ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695.

**ექ. ს. მამაცაშვილი** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.
**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.
**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.
**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.
**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.
**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთ) და შაბათს 2—2½ ს.; თვალის ავათმყოფ.
**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ.. ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (100—94)

---

ს ა ხ ა ლ ხ ო   ს ა ხ ლ ი.

**კვირას, 14 მარტს,**

**მუსიკალური საზოგადოება** სახალხო სახლთან არსებული, გამართავს ოპერას

**რიგოლეტო.**

ოპერა 4 მოქმედებიანია.

მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები.

დირიჟორი ბ. **ვინჩენკო.** — რეჟისორი ბ. **რატილი.**

**დასაწყისი 8 საათზე.** **ბილეთების ფასი** 5 კ-დან 80 კ-მდე.

ბილეთები იყიდება კასაში. — ადმინისტრატორი თ. დოლიძე

---

საკოოპერაციო ამხანაგობა

**ოგორონი**

(ამიერ-კავკ. რკინის გზების მოსამსახურეთა მომხმარებელ საზოგადოების საქონლის ჩამბარებელი)

**ამით აუწყებს** მომხმარებელ საზოგადოების წევრთ და კერძო მუშტართ, რომ 11 მარტიდან გაიხსნა **შეკერილ ტანისამოსის განყოფილება. ყოველნაირი ტანისამოსი მამაკაცთა პორტიკულიარული ფორმისა და მოწაფეთათვის, ქალთა ტანისამოსი, პარიზის უკანასკნელ მოდაზე დამზადებული.** ფასები შეუვაჭრებლათ, კონკურენციის გარეშე.

მაღაზია მოთავსებულია გოლოვინის პროსპექტზე, № 16, სახაზინო თეატრის პირდაპირ. (5—3)

---

ა. ნ. ლ ი ს ო ვ ს კ ი წაიკითხავს ლექციას

**ბეთჰოვენზე**

ორშაბათს, 15 მარტს, საღამოს 8 საათზე სამუსიკო სასწავლებლის დარბაზში (გრიბოედოვის ქუჩა) თფილისის მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სასარგებლოთ. ბილეთების ფასი ხელმისაწდომია. იყიდება მასწავლებელ ქალთა საზოგადოების კანტორაში (ბარიათინსკის ქუჩა, № 6).

---

**დაიკარგა**

**ოთხშაბათს**, 10 მარტს, ღამის 10 საათზე ტრამვაის ვაგონიდან.

**ქართული გაზეთები**

**„ახალი სხივი" და „დროება"**

პროვინციაში გასაგზავნი, შეკრულიშვიდ პაჩკათ, დაახლოვებით 730 ცალი. უმორჩილესათ ვთხოვ მპოვნელს მოგვიტანოს სად. თფილისის წიგნის შკაფში ებანოიძესთან, რისთვისაც მიიღებს შესაფერ **ს ა ჩ უ ქ ა რ ს.**

პავლე ებანოიძე.

---

დაიბეჭდა და იყიდება ქართულ ენაზე ჰერგარტ ჰაუპტმანის ცნობილი დრამა

**ფეიქრები**

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და პ. კოგანის კრიტიკული განხილვა. ეს დრამა ბერლინის თეატრებში სამი წლის განმავლობაში ორასჯერ დასდგეს. დრამის შინაარსი აღებულია გასულ საუკუნის ორმოციან წლებიდან გერმანიის მუშათა ცხოვრებიდან.

**წიგნი ღირს 50 კაპ**

მთავარი საწყობი წიგნისა არის მაღაზია „ალიონის" გამგე ვ. გადილიასთან. პროვინციაში მსურველთ წიგნი გაეგზავნება ჩვენი ხარჯით.

ფოსტის ადრესი. **Тифлисъ, Кирочная ул. № 9 Василію Гадилія.** 0—7

---

ამით საყოველთაოთ ვაცხადებთ, რომ ყოვლად საუკეთესოთ და უტყუარათ ცნობილი

**კასხალიდის აბრეშუმის თესლი**

როგორც გასულ წლებში, ისე წელსაც მინდობილი აქვს **გასასყიდათ ფაბრიკისავე დადგენილ ფასებში მათე გაბრ—ს-ძე რუსიძის კანტორას ქ. ბათუმში,** მარიინსკის პროსპ. სახ. **№ 10** (15—12)

---

**სახალხო უნივერსიტეტი**

**კვირას,** 14 მარტს

სახალხო სახლში, **ი. ბაევი** წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

**ბ რ ა ნ დ ი**

გენრიხ იბსენისა.

**დასაწყისი დილის 11 საათზე**

ადგილების ფასი 5 კ.—10 კ-დე.

---

**მკერვალი ქალი**

ვღებულობ შესაკერათ ყოველგვარ ტანისამოსს ქალების და ბავშვებისა **დაკლებულ ფასებში.**

ადრესი: Казбекская № 10 0—4


---

**თფილისი, 13 მარტი.**

1904—5 წლების განმათავისუფლებელმა მოძრაობამ რუსეთშიაც და ჩვენშიაც ერთი და იგივე ლოზუნგი წამოაყენა: მიწა და თავისუფლება. მიწის მოთხოვნილება თვით ხალხის სულის და გულის სიღრმიდან იყო ამოსროლილი; საუბედუროთ, თავისუფლების აუცილებლობას პირველი მოთხოვნილების მისაღწევათ თანაბრათ ყველგან რუსეთში ვერ გრძნობდენ და ამიტომაც ეს მოთხოვნილება ძვალსა და რბილში გამჯდარი არ ქონიათ. დამარცხდა განმათავისუფლებელი მოძრაობა, დამარცხდა მოძრაობისაგან გადმოსროლილი ლოზუნგიც, გაიმარჯვა რეაქციამ; მიუხედავათ ამისა მიწის საკითხი მაინც არ მომკვდარა და ის ახლა კიდევ უფრო გამწვავებული შეიქნა. რეაქციის გამარჯვებამ მემამულეთა კლასს მიწები შეანარჩუნა, მაგრამ განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ამავე მემამულეებს მოგლიჯა გულიდან ის უშიშროება, რომელსაც ისინი წინათ განიცდიდენ, გამოგლიჯა ხელიდან იმედი მიწის სამუდამოთ შერჩენის და ეს მომენტი შეიქნა გადამწყვეტ ფაქტორათ მემამულეთა დღევანდელ მოქმედებისა. როცა მიწის ხელიდან ძალით გამოცლის ეჭვი უღიტინებს თავში, მაშინ მემამულე მოსვენებით თავის დღეში ვერ იქნება! ის ასეთი წუთის დადგომას განუწყვეტლივ ელის, მას არც რეაქციის გამარჯვება მიაჩნია სამუდამოთ და ამიტომაც ცდილობს მამული თავის ნებით თავიდან მოიცილოს, აქციოს ისეთ რამეთ, რომელიც უფრო უზრუნველყოფილია მომავალი მოძრაობის დროს, ასეთ რამეთ მიაჩნია მას ფული. დღეს სწორეთ მემამულეთა ასეთი მოქმედების მოწამენი ვართ ჩვენშიაც და რუსეთშიაც. მიწის მობილიზაცია საშინელი სისწრაფით მიდის წინ,—აუარებელი მამულები რჩება ბანკებს, აუარებელი მამულები გადადის თავადაზნაურობისაგან სხვა წოდებათა ხელში: იძენენ ისინი, ვისაც ფული აქვს, რჩება უმიწაწყლოთ ისინი, რომელთაც არაფერი აბადიათ და რომელთა კისერმა გადაიტანა განმათავისუფლებელი მოძრაობის მთელი სიმძიმე.

მიწის მობილიზაციის პროცესს ჩვენში ზედ დაერთო ისიც, რომ მყიდველებათ გამოდიან უმთავრესათ არა ქართველები. მთელი ბურჟუაზიული ინტელიგენცია ამ გარემოებამ დიდ საგონებელში ჩააგდო; ერთი ნაწილი მისი იმ ზომამდის მივიდა, რომ ყოველი იმედი და სასოება დაკარგა ჩვენი ერის არსებობის ამიერიდან გაგრძელებაზე, მას ის უკვე მიცვალებულათ მიაჩნია და ისე იქცევა, როგორც შეფერის ვენებურ, ძველებურ ქრისტიანს, რომელიც მოუშვებს ხოლმე წვერს, თმას, ჩაიცვამს შავ ძაძას, არაფერს სვამს, არაფერს ჭამს, დაიკრეფს მკერდზე ხელებს, ზისცეცხლის პირათ, ხშირათ ჩიბუხს ეწევა და არის ნაცარ-ტუტაში ამოსვრილი. მეორე ნაწილი ინტელიგენციისა კი ამ ხანას გასცილებია და მებრძოლ ნაციონალიზმის მქადაგებლათ გამოდის. ის ამბობს: ჩვენ არა თუ ჩვენი საკუთარი ტერიტორია უნდა შევინარჩუნოთ, ახალიც უნდა დავიპყრათო, ჩვენ უნდა ავაგოთ საკუთარი ციხე-სიმაგრე, კოშკები, ჩვენ უნდა გავდენოთ ყველა შემოსულები, ჩვენ უნდა დავაარსოთ ახალი ტიპის ბანკები, ჩვენ უნდა შევქმნათ ვაჭარ-მრეწველთა კლასიო, უნდა უკუ ვაგდოთ რაღაც სოციალიზმი, რომლითაც 1904—5 წლებში ყოფილან თურმე გატაცებულნი. პირველ ჯურის ინტელიგენციაზე, რომელიც გლოვა-გოდებას მისცემია, ჩვენ თამამათ შეგვიძლია არ შევჩერდეთ, რადგანაც ის წარმოადგენს იდეოლოგს გადაშენებულ, გზაზე დამდგარ თავად-აზნაურობისას, რომელიც ყიდის თავის დედულმამულს და ამით ეთხოვება სამუდამოთ თავის ტერიტორიასაც და ქვეყანასაც. სულ სხვა ხასიათისაა მეორე ნაწილი ინტელიგენციისა, რომელიც ოდესმე თურმე სოციალისტობდა, დღეს კი მებრძოლ ნაციონალიზმს ქადაგებს. ჩვენ ეს მოვლენა სრულიად არ გვაწუხებს, პირიქით, მოხარულნი ვართ იმიტომ, რომ მასზე ჩვენი წინასწარმეტყველება სრულიად გამართლდა, გამართლდა ის, რომ სოციალიზმის დროშა მას ოდესმე ეჭირა მხოლოდ ერთის მიზნით: ხალხი თავისკენ გადაებირებინა, დღეს კი ნიღაბი აიხადა და გულ-ახდილათ გაიძახის: შორს ჩვენგან სოციალიზმი, მან დაღუპა ჩვენი ქვეყანა, გაუმარჯოს მებრძოლ ნაციონალიზმს, გაუმარჯოს ვაჭარ-მრეწველთა კლასსო! კარგი და პატიოსანი, რომ ასე აშკარათ ლაპარაკობთ, კიდევ უფრო მეტი გაბედულება და ჩვენ კიდევ მეტ მადლობას გეტყვით. ჩვენ მხოლოდ მოგთხოვთ, რომ მებრძოლი ნაციონალიზმის და ვაჭარ-მრეწველთა კლასის განვითარების პროცესს რაც თან სდევს, ყოველივე ეს აშკარათ აღიაროთ, არაფერი გადაამუქჩიოთ, არაფერი დამალოთ, ნიღაბი კიდევ არ აიფაროთ, მაგრამ შესძლებთ თქვენ ამას? ვეჭვობთ. დაარსეთ ბანკები, იზრუნეთ ვაჭარ-მრეწველთა კლასის განვითარებაზე, იზრუნეთ მათ შეკავშირებაზე, იზრუნეთ მათ კეთილდღეობაზე, მხოლოდ იმას ნუ იტყვით, რომ თქვენ მთელი ერის გაბედნიერებაზე ზრუნავთ. მაგრამ ამის თქმას თქვენ ვერ შესძლებთ, რადგანაც მაშინ თქვენ მოღვაწეობას სხვა ელფერი დაედება და ჩვენ მოვალეობათ ვრაცხთ ნათელ ვყოთ ყოველივე ის, რასაც თქვენ ნებით თუ უნებლიეთ მიმალავთ. ჩვენ გეტყვით, რომ ყველგან ასე ყოფილა და ჩვენშიც ასე არის და იქნება, რომ კაპიტალის მოგროვება მოითხოვს ბევრ მსხვერპლს; კაპიტალი არ იცნობს არც ძმას, არც ნათესავს,—ის არავის არ ინდობს, მას აქვს მიზნათ თვითზრდა და ყველაფერი: კარგი იყოს ის გინდ ცუდი, ნებადართულია, ოღონდ კი ამ მიზანს ემსახუროს. ჩვენთვის კი უმთავრეს საზრუნველ საგნათ კაპიტალის ანტიპოდი—მოწინააღმდეგე კლასი არის და იქნება მომავალშიაც. კიდევ გეტყვით: მეტი გაბედულება, მეტი გამოაშკარავება თქვენი სულისკვეთების, თქვენი მისწრაფებების!

---

## დეპეშა

(შემთხვევითი)

**ოდესა.** სტუდენტები, რომელნიც ღებულობენ ქუთ. თავ.-აზნაურთა სტიპენდიას, უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან ნივთიერი მხრით. ამიტომ ოდესის ქართველ სტუდენტთა სათვისტომო იძულებულია აცნობოს თავად-აზნაურობას, რომ მესამე თვეა, რაც სტიპენდიები არ იგზავნება. საცხოვრებლათ ვერავისაგან ვერ შოულობენ. შიმშილით ღონე მიხდილებს ძალა აღარ შესწევთ ეგზამენებისთვის მოემზადონ. თავად-აზნაურთა დახმარებას მნიშვნელობა ეკარგება დეპუტატთა საკრებულოს მიერ სტიპენდიების თავის დროზე გამოუგზავნელობის გამო.

**ქართველი სტუდენტები.**

---

## სახელმწიფო დუმა.

(საგ. დეპ.)

**12 მარტი.**

ისევ განაგრძობენ ვაჭრობის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. სხდომას თავმჯდომარეობს შიდლოვსკი.

**ზამისლოვსკი** ლაპარაკობს პეტერბურგის პოლიტეხნიკუმზე, რომ იქ საზოგადო საცხოვრებელ ბინაზე ინახებოდა ყუმბარები, იმალებოდენ პროპაგანდისტები. პროფესორები წმინდა წყლის კადეტები არიან, მათი ლექციები პოლიტიკური პამფლეტებია (მარჯვნით ტაშის ცემა) დასამტკიცებლათ ორატორს მოყავს ადგილები გესსენის და გრედესკულის ლექციებიდან. ის პირნი, რომელნიც საპროფესოროთ ემზადებიან, უმრავლესობა ებრაელები არიან. ყველა ამას ხედავს მთავრობა და თვალებს ხუჭავს. სამთო ინსტიტუტში არსებობს ფონდი, რომლითაც დახმარებას უწევენ რევოლიუციას. ამ ფონდის შესახებ მინისტრის ამხანაგმა ოსტროგრადსკიმ სთქვა, რომ ის საზოგადო სასარგებლოა. განა ეს მინისტრი სახელმწიფო დამნაშავე არ არაა? (მემარჯვენეები და ნაციონალისტები ტაშს უკრავენ) დასასრულ ორატორი აღნიშნავს უმაღლესი სკოლების გახრწნას და მთავრობის უმოქმედობას, რაც ბოროტებათ უნდა ჩაითვალოს.

თავმჯდომარე შენიშვნას აძლევს ორატორს.

**კორიაკინი** აღნიშნავს კომერციულ და პროფესიონალურ განათლების მნიშ-

ვნელობას, რასაც სამინისტრო ნაკლებ ყურადღებას აქცევს.

**ჩელიშევი** აღნიშნავს, რომ რუსეთის წარმოების დაცემის მიზეზი შინაური ბაზრის უქონლობაა, რადგან გლეხებს არა აქვთ ყიდვის საშუალება. ორატორი სურვილს აცხადებს მოეწყოს საქმე ისე, რომ მიწის მომუშავეთა ფართო მცხოვრებთ საჭირო ცნობებს აწვდიდენ პურის ბაზრის შესახებ. სხდომა სწყდება.

სხდომის განახლებისას დარბაზი მაყურებელი ხალხით გაჭედილია, დეპუტატები თავ-თავიანთ ადგილას სხედან. დუმის თავმჯდომარე გუჩკოვი დგება ტრიბუნაზე. ცენტრი, ნაციონალისტები და ოპოზიციის ნაწილი ტაშს უკრავს. **გუჩკოვი** შემდეგი სიტყვებით მიმართავს დუმას: „ულრმეს მადლობას გწირავთ, ბატონებო, რომ პატივი მეცით და დუმის თავმჯდომარეთ ამირჩიეთ. მთელ ჩემ ძალ-ღონეს ვახმარ, რომ თქვენი ნდობა გავამართლო. ჩემი არჩევა ხდება იმ დროს, როცა დუმაში გაცხარებული მუშაობაა ბიუჯეტის განხილვის შესახებ, რაც უმთავრესი აქტია, რომელიც ახალმა წეს-წყობილებამ დააკისრა ხალხის წარმომადგენლებს. ბიუჯეტის განხილვის შემდეგ თავის რიგს ელის კანონ-პროექტთა მთელი რიგი. ეს კანონ-პროექტები, ზოგი სახელმწიფოებრივი და ზოგიც კერძო ადგილობრივ ხასიათისაა, მაგრამ კერძო ჯგუფთა და მცხოვრებთა ინტერესებს ეხებიან. პირველ რიგში ქვეყნის დაცვის საკითხები: მოსალოდნელია მსხვილ კანონ-პროექტის შემოტანა, რომლის მიზანია დაცვის შესახებ სხვა და სხვა ზომებს მწყობრი ხასიათი მისცეს. ამ კანონ-პროექტებში მე აღვნიშნავ სამხედრო ბეგრის საპენსიო კანონ-პროექტებს. სკოლის საკითხის შესახებ დუმის კომისიამ უკვე განიხილა საყოველთაო სწავლის შესახებ კანონ-პროექტი. დუმას შეუძლია ნაალდგომევს შეუდგეს მის განხილვას. სხვა კანონ-პროექტებიდან აღსანიშნავია ადგილობრივ სასამართლოების რეფორმების, განსაკუთრებული წესების და პიროვნების ხელშეუხებლობის, მუშათა დაზღვევის და ნორმალური დასვენების, ზოგიერთ გუბერნიებზე ერობის გავრცელების შესახებ კანონპროექტები და სხვა.

შეგვეძლება თუ არა ყველა ამის შესრულება—ეს ჩვენზეა დამოკიდებული. ჩვენ ხშირათ ვსაყვედურობით იმ გარეშე დაბრკოლებებზე, რომლებიც ჩვენ ხელს გვიშლიან. ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ დაბრკოლებებს და თუ საჭირო იქნება, ანგარიში გავუწიოთ. მაგრამ ამასთან არის დაბრკოლება თვით ჩვენში, რომლების დაძლევა თვით ჩვენ შეგვიძლია. როგორ გგონიათ, ბატონებო, უკეთუ ეს შინაური დაბრკოლებები ვსძლიეთ, ამით შევასუსტებთ თუ არა გარეშე დაბრკოლებებს? ბატონებო, მე მტკიცე მიმდევარი ვარ კონსტიტუციონურ-მონარქიული წეს-წყობილების და ეს გუშინ აქეთ კი არა; კონსტიტუციონურ მონარქიის ფორმის (მარჯვნით უკმაყოფილება) და პარლამენტარიზმის გარეშე ჩემთვის წარმოუდგენელია თანამედროვე რუსეთის განვითარება, თავის სახალხო წარმომადგენლობით, რომელსაც მინიჭებული აქვს ფართო კანონმდებლობითი უფლება და მართვა გამგეობის თვალყურის დევნება, მაგრამ ძლიერი მთავრობით, რომელიც პასუხისმგებელია არა პოლიტიკურ პარტიების, არამედ—მხოლოდ მონარქის წინაშე (ტაშის ცემა). ძნელია თავმჯდომარის მოვალეობა, დუმაში წესიერების დაცვა და სერიოზული მუშაობა, რაც შესაძლებელია მხოლოდ თქვენის დახმარებით. არ უნდა დაგვივიწყოთ, რომ ახალ წეს-წყობილების მიერ მოპოვებული ერთი უძვირფასესი განძია სიტყვის ის დამოუკიდებლობა, კრიტიკის თავისუფლება, რომელიც მჭიდროთ შეკავშირებულია ამ ტრიბუნასთან. მართალია, ტრიბუნის დამოუკიდებლობის და თავისუფლების გარანტიას შეუძლია შეგვაცდინოს და ბოროტ-მოქმედება ჩაგვადენინოს, მაგრამ უმჯობესია შევეცადოთ და გავაფართოვოთ თავისუფლება, ვიდრე ის მეტის მეტად შევავიწროვოთ. უსამართლობასთან ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ მართალი სიტყვით, ვიდრე თავმჯდომარის ზარით და ნაკაზის მუხლებით. ამ გვარათ, ბატონებო, წყალობითა ღვთისათა ვიწყებთ ჩვენ ძნელ საქმეს (ცენტრი, ნაციონალისტები და ოპოზიციის ნაწილი ხანგრძლივ ტაშს უკრავს).

**პრედკალნი** აღნიშნავს მუშათა კანონმდებლობაში და საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველ ნაწილში მუშათა კლასის მიერ მოპოვებულ უფლებების ლიკვიდაციას. იმას, რაც ამ ხუთის წლის წინათ იყო, და ეხლანდელ მდგომარეობის შორის ის განსხვავებაა, რომ წინათ კანონმდებლობა მთავრობის ხელში იყო, ახლა კი საკანონმდებლო პალატის ხელშია, რომელმაც მუშათა კანონ-მდებლობასთან თავისი დამოკიდებულებით დაამტკიცა, რომ ის მზათ არის უფრო შორს წავიდეს და წაართვას მუშებს მოპოვებული უფლებები (უკიდურესი მემარცხენეები ტაშს უკრავენ.)

**ვაჭრობის მინისტრი** აღნიშნავს, რომ მართალია ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინეს სამთო ინსტიტუტის საბჭოს და ფონდის კომისიებში და ინსტიტუტს მოსთხოვეს ამ უწესობის მოსპობა. მინისტრი ამართლებს ოსტროგრადსკის და ამბობს, რომ მისი ვალია დაიცვას ის სახელმწიფოს ღალატის ბრალდებისაგან. ლაპარაკობენ შინგარევი, მიტვილოვი, ზამისლოვსკი და აჯემოვი.

კენჭს უყრიან მორიგ საქმეებზე გადასვლის ფორმულას. ღებულობენ ოქტომბრისტების ფორმულას. დასასრულ დუმა ღებულობს მთელ ხარჯთ-აღრიცხვას კომისიის გამონაგარიშებით.

შემდეგ დიმიტრიუკი მოხსენებას აკეთებს სამთო დეპარტამენტის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. გამოანგარიშებულია 21,886,135 მანეთი. კომისიას შეუმცირებია 8,000 მანეთით. ორატორი ეხება კერძო და სახელმწიფო ქარხნების უკანტროლო მოქმედებას, ამტკიცებს, რომ სახაზინო ქარხნები 11 მილიონ მან. ზარალს იძლევიან, უმჯობესი იქნებოდა დახმარება გაეწიათ. 20,000 მუშას სამთო საქარხნო მცხოვრებთა ყველა შეამდგომლობებზე მთავრობამ იმით უპასუხა, რომ დუმაში შეიტანა კანონპროექტი ჟანდარმებისთვის ჯამაგირების მომატების შესახებ, რადგან ურალზე მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედება დაიწყო. მთავრობის არავითარ ზღუდეს არ შეუძლია ურალზე რევოლიუციონურ მოძრაობის შეჩერება, რადგან იქ მთავარი რევოლიუციონერი შიმშილია (მარცხნით ტაშის ცემა). დასასრულ ლაპარაკობს ჩილიკინი. დუმა ღებულობს სამთო გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვის ორ მუხლს და სხდომაც იხურება. შემდეგი სხდომა დანიშნულია 14 მარტს.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 მარტი.

## ოსმალეთი

**სალონიკი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა აცნობა მაკედონიის ვალს, რომ მეფე ფერდინანდის სტამბოლში მოსვლას ოსმალეთ-ბულგარეთს შორის მეგობრული კავშირის განმტკიცება აქვს მიზნათ.

## საზღვარ-გარეთ

**ვენეცია.** ტარნოვსკაიას საქმე. სატუსაღოს ზედამხედველი ამიკო კარგათ იხსენიებს პრილუკოვს და ამბობს, რომ მას ძლიერ უნდა უყვარდეს თავისი შვილები. ზედამხედველი ბონდეინი ამბობს, რომ ტარნოვსკაიამ 30,000 ფრანკი შეაძლია მის ცოლს, რომ მისი გაქცევა მოეხერხება. ტარნოვსკაია კატეგორიულათ უარყოფს ამას. ახმატოკის ქალი, რომელიც ნაუმოვს 12 წლიდან იცნობდა, ამბობს, რომ ის კარგი ბავშვი იყო. ბილიარდზე თამაშის დროს მას ხის ბურთი მოხვდა თავზე და მას შემდეგ თავი სტკიოდა. სეანსების დროს მასზე ძლიერ მოქმედებდა ჰიპნოტიზმი და რასაც უბრძანებდენ, იმას აკეთებდა. შაფალოვიჩი ამბობს, რომ პერმში, როცა ნაუმოვმა ერთი ჭიქა შამპანიური დალია, გრძნობა დაჰკარგა, საზოგადოთ არანორმალურ შთაბეჭდილებას ახდენდა წინათაც. პეტერბურგის სამოსამართლო პალატის თავმჯდომარის ცოლი რინკევიჩისა აქებს ნაუმოვს და ამბობს, რომ განცვიფრებაში მოვიდა, როცა გაიგო მისი ამბავი, რაშიაც დარწმუნდა, რომ ის სხვის ნებას დაემორჩილა.

## რუსეთი.

**კიევი.** ტარნოვსკაიას საქმის გამო ვენეციაში გაიწვიეს მოწმეებათ 20 კაცი.

**სარატოვი.** დროებით სამხედრო სასამართლომ ს.-რევოლიუციონერთა ვოლგის საოლქო კომიტეტის საქმის გამო 13 კაცთაგან მინარს, ყოფილ სტუდენტ დუკელსკის, მასწავლებელ კოროტკის, რეალისტ ცარევსკის ოთხი წლიდან რვა წლამდე კატორღა გადაუწყვიტა, სარატოვის ქალაქის გამგეობის ყოფილ წევრს მილოშევსკის, რეალისტ ფილიმონოვს და გლეხ მერზლოვს გადასახლება, სამი გაამართლა. სამი გადაიმალა.

**ვლადიკავკაზი.** კესკმის ახლო ბოროტ-მოქმედებმა სასიკვდილოთ დასჭრეს „უჩასტკის“ უფროსი ბოგუსლავსკი. მოკლეს მამასახლის თანაშემწე, დასჭრეს მეეტლე.

**ნოვოროსიისკი.** ნოვოროსიის რესპუბლიკის საქმის გამო შვიდ კაცს გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა, 14 სხვადასხვა ვადით კატორღა, სამი გაამართლეს. სასამართლომ დაადგინა ითხოვოს ეპატიოთ სიკვდილით დასჯა და შეუმსუბუქდეთ სასჯელი კატორღაში გაგზავნით.

# პატარა საუბარი

IX

ჩვენში ძალიან გამწვავდა ამ უკანასკნელათ მიწის საკითხი, და ამას ერთხელ კიდეც შევეხე მე გაკვრით. არ არის ისეთი კუთხე საქართველოში, სადაც გლეხი უმიწა-წყლობას არ განიცდიდეს. მიზეზები პოლიტიკურიცაა და ეკონომიურიც ერთ და იმავე დროს, და სწორეთ ამიტომ თანაბარ თავგამოდებით და ენერგიით უნდა შევებრძოლოთ მათ როგორც პოლიტიკურათ, ისე ეკონომიურათაც.

ეს თავის თავათ ცხადია და მისახვედრიც. არ არის მხოლოდ ცხადი და არც მისახვედრი ჩვენ მოპირდაპირეთათვის ერთი რამ უბრალო. და ეს ხდება მაშინ, როცა საქმე გლეხის მიერ მიწას შეძენაზე მიდგება. თითქმის საკმაო ერთსულოვნება არსებობს ჩვენს პრესაში იმის შესახებ, რომ გლეხი გატყავებულ-გაფცქვნილია და ამიტომ მას უძნელდება მიწა-ადგილის შესყიდვა. მაგრამ ამაზე არაა აქ ბაასი, და არც ზოგი ჩვენი მოპირდაპირეთა ამ მხრივ ერთობ გადაჭარბებულ ოპტიმიზმზე ღირს აქ შჩერება. უეჭველათ ჩვენშიაც გამოერევა „თეთრი ყვავილით“ ეს თუ ის გლეხი, რომელსაც ჯიბე ნებას აძლევს შეიძინოს ერთი თუ მეტი დღიური, ან კიდევ [illegible] ხშირათ მთელს სოფლებს და [illegible] ჯგუფებს შეეძლოთ [illegible] ნაბიჯები. მიუხედავათ ამისა, სხვა და სხვა მიზეზებით შესყიდვის პროცესი ხშირათ ასეთ შემთხვევებშიც კი ფერხდება ან სრულიად იფუშება. და აი, აქ გამოდიან ჩვენი მოპირდაპირენი და საგანს ყირამალაზე აყენებენ, რა საკვირველია, პარტიულის ან კიდევ უფრო უარეს მიზნებით. ისინი თითქმის ერთხმათ იმეორებენ: „გლეხები გააბრიყვეს, გლეხები გასულელეს **ერთობის** კაცებმა, გლეხები გაიძახიან მიწა-ადგილი **მუქთათ** დაგვირიგდება და ამიტომ არც ვყიდითო“...

თუ რას „გაიძახიან“ გლეხები, ეს ალბათ, მათ გარდა სხვასაც ესმის და კიდეც ამიტომ „არ ახალია“, რომ ჩვენი მოპირდაპირენი ფაქტის სისწორის მხრივაც ხშირათ ძალიან მწყრალათ ბრძანდებიან. ბევრია სხვა მიზეზებიც, რომელნიც **გაცილებით უფრო დამაბრკოლებელნი** არიან, ვინემ „ერთობის კაცებისგან დაბრიყვება“, მაგრამ როგორაა საქმე თვით ამ «დაბრიყვებაზე»? ჯერ კიდევ ჩამი-ჩუმიც არ იყო მიწის საკითხის **დღევანდელსავით** გამწვავებაზე, და არც რევოლიუციის მთლათ დამარცხებაზე იყო **მტკიცე** აზრი შემდგარი, როცა ან.—ი ეუბნებოდა გაზეთის ფურცლებზე გლეხებს, რომ რევოლიუცია **დამარცხდა** და მიწების მათ სასარგებლოთ კონფისკაცია **უიმედოა;** ამიტომ ის არკვევდა მეორე გზას მიწების შეძენისას. და ეს განმეორდა **არა ერთხელ** ჩვენი ბანაკიდან.

მაგრამ სწორეთ იქ იწყება ნამდვილი ოინბაზობა და სასაცილო რამ, როცა ბ. ფრონელი და ბევრი მისი ამხანაგები, რომელნიც რევოლიუციის ჟამსაც „დარბაისელი“ ყოფილან და აქედან კიდევ მაშინ გაულაშქრიათ კონფისკაციის წინააღმდეგ, როცა ეს პირნი, ვიმეორებ, ჰგმობენ და ლანძღავენ „ერთობისტებს“, —ეს სრულიად ბუნებრივია და ლოღიკურიც მათის მხრით, ჩვენ გვმართებს ეს სიმართლე მივუძღვნათ მათ, მაგრამ რას ბრძანებენ ის ჩვენი მოპირდაპირენი,—და მათი რიცხვი გაცილებით მეტია,—რომელნიც ასე ცხარეთ გვეკამათებოდენ იმავ რევოლიუციის ჟამს „ჩამონაჭრებზე“ და შეუწყნარებელ „ძუნწობას“ გვწამებდენ ხალხის წინაშე? ისინი ხომ სულ მთლათ მოსპობდნენ მისი ხმელეთ-წყლით **უსასყიდლოთ** აძლევდენ გლეხებს, და ბოლოს, როგორც ისინი ირწმუნებდენ, მაშინ „ჩვენც კი ჩაგვითრიეს“, ამ გულუხვობის მორევში! რათ მეორდება მათი ბანაკიდან ასე დაჟინებით და უკომენ-

# სიმონა

I

ქარხნის საყვირის კივილმა
მიმოიარა მთლათ არე,
უსაზღვრო სივრცის კალთაში
ბოლოს მან ჰპოვა სამარე.
ვით პატარას გულს უტკბობს
ხმა სააღდგომო ზარისა,
და სატრფოს შვების ალში ჰხვევს
ჩურჩული მეგობარისა;
ვით წყვდიადში მყოფს ახარებს
პირველი სხივი მთვარისა,
გაფანტულ ღრუბელთა შორის
კეკლუცად გამომდგარისა;
იმ სიტკბოებით ხმა იგი
მისწვდა სიმონას სმენასა,
ზღვარი დაუდვა მთელი დღის
მის შრომას, ოფლის დენასა!
თავი აიღო, სისწრაფით
მონახა ფარაჯა ძველი,
წამოიქნია, მოღლილმა
ძლივს დაიფარა მით წელი,
დილით დაწყებულ საქმესა
ეხლა აალო მან ხელი,
სარდაფისაკენ გასწია,—
იქ ჰქონდა მას სამყოფელი!..
ქარხნის ეზოში მუშები
გამოშლილიყვნენ ჩქარადა,
ერთი მეორეს მისდევდენ
და ერთად სჩანდნენ ჯარადა,
მური გაჰკროდათ სახეზე
სულყველას შესაზარადა,
იგი აქა იქ გაეპო
ოფლს ჩამონადენს ღვარადა,
დუმილს არღვევდა იმათი
ბიჯი ნადგამი ჩქარადა,
ბედს გარდაექმნა ყველანი
ერთი მეორის გვარადა!..

II

მზეს გაელია ლაჟვარდი
ეფარებოდა მთას შორეს,
მისმა სხივებმა მდინარეს
ციმციმი ჩამოაშორეს,
ნიავმა ქროლვა დაიწყო
ფოთლებმაც მას უამბორეს,
ბოლონდელ ჰანგებს ფრინველნი
უწყობდენ ერთი მეორეს.
ფერდოზე წყარო მოჰქროდა
მოუსვენარი დენითა,
ჩხრიალში თითქოს მღეროდა
სწორ უპოვარი ენითა,
ყვავილთა შორის პეპელა
აღარა სჩანდა ფრენითა,
კვლავ კეკლუცობდენ მარტონი
სიტურფით დამამშვენითა,
მათ შორის განვლო სიმონამ
ბინამდე ასე იარა,
გარშემო ყველა ჰშვენოდა
მას კი სტკიოდა იარა,
არ დაუნახავს ლაჟვარდზე
მზემ ისე გადაიარა,
საამო წყაროს ჩხრიალიც
იმან ვერ გაიზიარა!..
ყვავილნი სხვას უცინოდენ,
სიო სხვას სძღვნიდა ნანასა,
ახლოს იყო და შორს უდგა
სიტურფეს ამისთანასა!
კვლავ სახლს ეწვია სიმონა
ნელა შეაღო კარია,
მომაკვდავისებრ ბჟუტავდა
პატარა შიგ ლამპარია,
სუნი დიოდა, მის კედლებს
არ მოხვედროდა ქარია,
გოგიას ისევ ეძინა,—
არ იყო წამომდგარია,
მყუდროებაში ისმოდა
იმისი ხვრინვა წყნარია,
პეტრიას შემდეგ დაიფლო
ლოგინი ისევ მთბარია,
ეხლა კვლავ იმას ეწვია
მესამე მეგობარია!..
— „ადექი, ადექ გოგია
გაგვიანდება ძმია
რაც დაიყვირა საყვირმა
უკვე ხუთმეტი წამია,
აღარ მიგიშვებს უფროსი
რომ მისცე არც გაქვს ქრთამია,
ბინას დაჰკარგავ, ყოფნაზე
გადაგესხმება შხამია!
მეც ძილი მინდა მოღლილმა
იქნებ დავხუჭო თვალები,
თუნდ მოკვდე ამ დასაქცევში
აბა ვის შეებრალები?!.
გამოიღვიძა გოგიამ,—
სიმონას ხელით რყეულმა,
ამოიოხრა სიმწარით
ვით სუსტად ქმნილმა სნეულმა,
გადაიხადა ფარაჯა
იმაში გამოხვეულმა,
ბედს შეუკურთხა, ასეთ ხვედრს
რომ გადაჰკიდა წყეულმა,
საჩქაროთ ტანზე ჩაიცვა
ლოგინით წამოწეულმა,
სამუშაოზე გასწია
მარადის ამას ჩვეულმა!
კვალად სიმონას მიუძღვნა
ლოგინმა თავისი არე,
გულს ჩაიხვია იმისი
ვაება და სიმწუხარე.
ყველაზე მეტად ახსოვდა
ამ ლოგინს მისი ბედია,
იმდენჯერ სიმონას გულში
არავის ჩაუხედია,
იმას ანდობდა რაც სხვასთან
აროდეს გაუბედია.
ეს იყო მისი ფიქრები
ხშირად მტანჯავი, მწარია,
და უმწეობის ნაყოფი
თვალთაგან ცრემლის ღვარია..
რომ ეს ლოგინი გაყრილი
არ ყოფილიყო ენასა,
ვინ იცის რას არ ეტყოდა
კაცის გულსა და სმენასა?!.
ეტყოდა როგორ ძალმიხდილს
ძილი იპყრობდა ხელადა,
რომ არ ახსოვდა არავინ
თვის მკერდზე უდარდელადა,
ეტყოდა როგორ ბედკრულთა
არავინ იყო მცველადა,
და რომ სიცოცხლე ქმნილიყო
მათთვის საზიდი ძნელადა;
ეტყოდა როგორ სიზმარი
მასზე ბუდობდა მარადა,
და როგორ იგი მის სტუმრებს
სწვევია შესაზარადა;
ეტყოდა როგორ ცრემლები
გადასდენია ხშირადა,
და როგორ ცხადათ ტირილი
ახსოვდა მეტათ ძვირადა!..
ძილში რვეულათ ფურცლავდა
სიზმარი ბედის წერასა,
მასში ხედავდა სიმონა
შორს დატოვებულ კერასა,
ცოლ-შვილს შესტრფოდა,
ალერსით უწყებდა იმათ [illegible]რასა,
რომ გაეცვალა ისინი
მისცემდით ისეთს ვერასა!
მაგრამ ხან შვილი სტიროდა
შიმშილსა გრძნობდა მწარესა,
ცოლიც მით შეწუხებული
ცრემლებსა ღვრიდა ცხარესა,
ამ დროს სიმონაც ცრემლებით
რწყავდა ლოგინის არესა!..

III·

ფრთა გაეშალა განთიადს
და მოემართა ისარი,
მისგან განგმირვას ელოდა
წყვდიადის გულის ფიცარი!
ვარსკვლავთ კაშკაში თან და თან
დღის სინათლეში ჰქრებოდა,
ცისკრის ციმციმი უსწორო
ხედვიდან იფარებოდა...
ამ დროს დასტოვა სიმონამ
სამი წლის წინეთ კარია,
შემდეგ კი თავის ოჯახში
მას აღარ გაუარია,
შინ დარჩა,—თან ვერ წაიღო
ცოლ-შვილის ხვედრი მწარია,
მათ უმწეობას ჰგოდებდა
გულს უდგა შიშის ზარია!
ფიქრის დროს—შრომა უკლავდა
მოსვენებისას—ფიქრები,
და ასე მარად თან სდევდა
შავი დროს შავი ისრები,
საძილისპიროთ სხეული
ეხლაც იწვევდა გრძნობასა,
მაგრამ დარაჯი შეექნა
ოჯახის თანაგრძნობასა,
ის მეუფობდა თვალებზედ
გულიც მას შორეს წაეღო,
ორსით გზა, შავი ფიქრების
ხოლოდ კარები გაეღო!
ფიქრი ფიქრს სდევდა, სხეულში
ჟრჟოლა ასტეხეს იმათა,
ცრემლებმა გზა მოითხოვეს
დადენა სურდათ წვიმათა,
ლოგინმა ჩხვლეტა დაიწყო
აღარ გამოდგა ბინათა,

ტარიოთ ზევით აღნიშნული საყვედური გლეხთა „დაბრიყვებაზე"? რათ არ იტყვიან ისინი გადაჭრით, რომ რევოლიუციას და რეაქციას სხვა და სხვა კანონები აქვთ, რომ ეს ორი ცნება ანტაგონისტურია თეორიაშიც და პრაქტიკაშიც, რომ საშვალებანი განსხვავდებიან იქ და აქ...? რათ სდუმხართ, მამაცნო? ან იქნება აზრი გამოიცვალეთ და ნანობთ...? ჰა, სთქვით! თუ ესეც ბუნებრივია და ლოღიკური?! **წინწკალი.**

## ახალი ამბები

**მანქანის აფეთქება.** 12 მარტს, საღამოს 5 საათზე, ძმ. ალ. და არკ. ნაზაროვის ძე მილოვის მანუფაქტურულ მაღაზიაში, იმ დროს, როცა ყველა მოსამსახურენი მაღაზიის წინა განყოფილებაში იდგენ, მაღაზიის საოპტო განყოფილებაში გამოჩნდა კვამლი და რამდენიმე წუთის შემდეგ აფეთქდა რაღაც მანქანა. აფეთქების დროს დაიჭრა და გარდაიცვალა ამ განყოფილებაში მოსამსახურე თფილისის მოქალაქე მ. ს. გივიშვილი, რომელიც ამ დროს მაღაზიის უკანა საწყობში მისულიყო, თუმცა ამ დროს მას იქ არავითარი საქმე არ ქონდა გასაკეთებელი. დათვალიერების შემდეგ აფეთქებულ ადგილას იპოვეს აფეთქებული მანქანის ნატეხები, დანგრეული იატაკი და ცეცხლისაგან გარუჯული რამდენიმე ნივთებით სავსე ტომარი. პოლიციის სიტყვით ეს ასაფეთქებელი მანქანა ვიღაცას განგებ შეუტანია მაღაზიაში და გაუფრთხილებლობის მიზეზით აფეთქებულა: ეჭვი მიიტანეს გარდაცვალებულ გივიშვილზე, რადგან ის უსაქმოთ ამ დროს მაღაზიის უკანა ნაწილში შესულიყო და რაღაც ფათურობდა, მოსამსახურე და არც კერძო პირი იმ დროს იქ არ იმყოფებოდა. აფეთქების დროს გივიშვილს მოწყდა მარჯვენა მხარი და ხელი. სხვა უბედურება არ მომხდარა. მკვდარი მიხეილის სავათმყოფოში გაგზავნეს.

**პატივის აღმადგენელი სასამართლოს** პირველი სხდომა მოხდა პარასკევს, 12 მარტს გამომძიებელმა კომისიამ სასამართლოს გადასცა ყველა საქმეები „პრესის სინდიკატის" შესახებ. სასამართლომ თავმჯდომარეთ აირჩია მ. ვ. ბარრო, მდივნათ ხ. ვარდანიანი.

**წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების** გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა გამოარკვიონ, თუ რამდენათ ღირს განსვენებულ კ. ტურიაშვილის მიერ წ. კ. საზ სასარგებლოთ დატოვებული ქონება. დაადგინეს იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე ს. ასკანაში (ოზურგ. მაზრა) ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ.

**განყოფილებები.** წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ ბაქოსა და თელავის განყოფილებებიდან მიიღო სულ 353 მ.

**სომხების შეპყრობა.** გამომძიებელის მოთხოვნით, პარასკევს, 12 მარტს, პოლიციამ შეიპყრო თფილისის სომხური სემინარიის მასწავლებელი გ. კ. ხაჟანიანი და ანანოვის საქალებო სკოლის მდივანი ს. კართაშიანი. ორივე მეტეხის ციხეში გაგზავნეს.

**სურამის მცხოვრებლებმა** შუამდგომლობა აღძრეს თფილისის გუბერნატორის წინაშე, რათა დაბა სურამი სამაზრო ქალაქათ იქნას დამტკიცებული.

**ქალაქის საბჭოს სხდომა.** ხვალ, 15 მარტს, მოხდება ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა; მოხდება არჩევნები ქალაქის უძრავ ქონების შემფასებელ კომისიისა და გაირჩევა სხვა მორიგი საკითხებიც.

**დაჯარიმება.** თფილისის გუბერნატორმა 100 მან. დააჯარიმა თფილისის მცხოვრები ს. მელიქიანი, რომელსაც ნება დაურთველ იარაღების შენახვა ბრალდება.

**ქალაქის მეყასბეები.** როგორც სჩანს, ბოლო აღარ ელება ყასაბთა თავგასულობას. გუშინაც სავაჭრო-სამეურნეო მეთვალყურე ხარაზიანმა ოქმი შეუდგინა საეკლესიო ქუჩაზე მოვაჭრე ყასაბს სარქის ახვერდოვს, რომელმაც კამეჩის ხორცი 4 მან. 80 კაპ. მაგივრად 5 მანეთად მიჰყიდა ვინმე კაპანაძეს.

**დაჯახება.** 12 მარტს ერევნის მოედანზე ტრამვაის ვაგონი № 31 ი. ი. არზამის ფურგონს დაეჯახა. ცხენები დაშავდენ. ფურგონი დაიმსხვრა.

**ახალი სასაკლაო.** ქალაქის ახალი სასაკლაოს ხარჯთ-აღრიცხვა შედგენილია. ახლო მომავალში შეუდგებიან შენობის აგებას.

**ელექტრონიის სადგურის** შენობის დაწვრილებითი გეგმა ჯერ-კიდევ არ დაუმთავრებიათ. პროფესორი არტემიევი დახმარებას პირდება ქალაქს გეგმის შესადგენათ.

**მიწების შესყიდვა.** მე-5 უბნის თავისუფალ მიწების მეპატრონეთ გამგეობამ თხოვნით მიმართა შეატყობინონ, თუ რა ფასებში შეუძლიათ მცხოვრებლებს მიყიდონ ქალაქს თავისუფალი მიწები. ხსენებული მიწები ქალაქს ბალნეოლოგიური სადგურისათვის ესაჭიროება.

**შუამდგომლობა.** როგორც «ბაკუს» შეუტყვია სამინისტ. საკითხი აღუძრავთ რათა ბაქოს ნავთის რაიონი გამოყონ კავკასიის სანამესტნიკოს გამგეობიდან და გადასცენ ვაჭრობის სამინისტროს გამგეობაში. ნამესტნიკი წინააღმდეგი ყოფილა ასეთი წინადადების.

**ტყეების გაყიდვა.** დასავლეთ საქართველოში ძლიან გახშირდა ტყეების გაყიდვა და კაპიტალისტების მიერ ტყის მასალის წარმოება. იყიდება თავად დადიანების ტყეები, ზუგდიდის მაზრაში. იყიდება დიდი ტყეები სვანეთშიაც. წარმოებას სათავეში უდგას ცნობილი კაპიტალისტი პალიხი.

**შეპყრობა.** „კავკაზის" სიტყვით, ამ დღეებში ბათუმში შეუპყრიათ ცნობილი ტალახაძე რომელიც გორის საპყრობილეში მოუთავსებიათ.

**მღვდლის მოკვლა.** 10 მარტს ს. წრომში, რომელიც სადგურ გომიდან 3 ვერსტზე მდებარეობს, ვიღაც ბოროტმოქმედებმა გამოიტყუილეს წრომის მღვდელი ალ. დავითაშვილი გარეთ ბინიდან და მოჰკლეს. მღვდელი ცხოვრობდა ლევ. ციციშვილის სახლში. წინათ გაგზავნილი იყო ადმინისტ. წესით, მაგრამ აპატიეს და წრომში მსახურობდა.

**ფოთიდან გვატყობინებენ.** 9 მარტს აქ ქუთაისიდან ჩამოვიდა სავანგებო საქმეთა გამომძიებელი სენკევიჩი, რომელმაც გაჩხრიკა პეტრე ურუშაძის ბინა და, მიუხედავათ იმისა, რომ უკანასკნელს ვერა აღმოუჩინეს რა, მაინც დააპატიმრეს. დაპატიმრებული გაგზავნეს ადგილობრივ სატუსაღოში. შეპყრობის მიზეზი გამოურკვეველია.

**შეცდომის გასწორება:** გუშინდელ ნომერში ბ. გალიორკას წერილში შეცდომით დაბეჭდილია: „მამის ცეცხლათ" უნდა იყოს: „მამასისხლათ". სწერია: работодати, უნდა იყოს: работодатели.

### სამგლოვიარო წერილი.

თავზარი დაგვცა გრიგოლ კალანდაძის მოულოდნელმა სიკვდილმა. დიდათ სამწუხაროა ასეთი ამხანაგის დაკარგვა ჩვენთვის.

ნინა, ელენე, ილია, აბესალომ, ლუკა, კაპიტონ და სილოვან.

## წერილი რეშტიდან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პარასკევს, 5 მარტს აქ გაიმართა მეორე მიტინგი. თუ პირველ მიტინგს ჩვენ ნაძალადევი ვუწოდეთ, ეს კი ნამდვილათ ხალხური და ძალდაუტანებელი იყო. თუ პირველის მოსაწვევათ ერთი კვირის მზადება იყო საჭირო, პარასკევს არავითარი მზადება არ ყოფილა. საღამო ხანს „საბზი მოედანზე" (ბაღია შუა ქალაქში) ხალხმა თავი მოიყარა და ორატორი მოითხოვა.

იქვე სკამეიკაზე ავიდა ერთი სეიდი, რომელმაც თავისი მოკლე სიტყვით ხალხი აღტაცებაში მოიყვანა. ამის შემდეგ წაკითხული იქმნა წერილი დღევანდელ სპარსეთის მდგომარეობაზე გაზეთ "ირან ნოვში" მოთავსებული და ს. დ. კომიტეტის ფურცელი, სადაც მკაცრათ იყო გატარებული მეზობელ სახელმწიფოთა პოლიტიკის კრიტიკა. ფურცელში ს.დ. კომიტეტი ხალხს მოუწოდებდა, არ ედღესასწაულათ მათ „ნოვრუზ ბაირამი" (ახალი წელიწადი), ვინაიდან სპარსეთს არ შეუძლია სიამოვნებას მიეცეს მაშინ, როცა სამშობლოს არსებობის ბედ-იღბალი ბეწვზე კიდიაო.

ფურცლის ჰკითხვის დროს ერთი მეტად ღირსშესანიშნავი რამ მოხდა. ერთ ღარიბათ ჩაცმულ სპარსელს შეუნიშნავს, რომ ზოგიერთები ფურცლის კითხვას ყურს არ უგდებდენ და იქვე დასეირნობდენ, იგი ამას გაუბრაზებია და მეტად აღელვებული, თვალ-ცრემლიანი იქვე სკამეიკაზე ავარდა და მათ ლანძღვა დაუწყო:

თქვენში არ არის სიყვარული თავისუფლებისადმი, თქვენში არ არის სინდისი, თქვენ გინდათ გაყიდოთ «ირანი» და სხ. ეს სიტყვები ისე გულწრფელად იქნა წარმოთქმული, რომ ვერც მან, და ვერც დანარჩენმა ცრემლები ველარ შეიკავეს. ამის შემდეგ ილაპარაკა კიდევ სამმა,—ორმა რუსულად და ერთმა თათრულათ.

აღსანიშნავია, რომ ამ მიტინგს აქაური ბობოლები რაღაც განზე უდგენ. მათ რამოდენიმეჯერ მოინდომეს მიტინგის შესწყვეტა, მაგრამ ხალხი მათ ყურადღებას აღარ აქცევს. ამ მიტინგის ზეგავლენით მეორე დღეს ენჯუმენში ადგილობრივი ვაჭრები შეიკრიბენ და მსჯელობა იქონიეს შინაური სესხის შესახებ. ენჯუმენიდან ვაჭრები ფოსტა-ტელეგრაფის სადგურისაკენ წავიდენ და თეირანში ტელეგრამა გაგზავნეს,—მზათა ვართ შინაური სესხისათვისო.

**სერგო კლდისძირელი.**

P. S. ამ ერთი კვირის წინ აქ მოვიდა ბაქოდან მუსულმანთა არტისტი ბ. არაბსკი. მან ადგილობრივ ახალგაზრდა სპარსელთა დახმარებით ითამაშა სომხების თეატრში კავკასიელ თათრების ცხოვრებიდან ხუთ მოქმედებიანი დრამა „მესიბეტ ფარრატინ". თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მოთამაშეთა უმრავლესობა პირველად გამოვიდენ სცენაზე და ქალთა როლიც ვაჟებმა ითამაშეს, წარმოდგენამ ჩინებულათ ჩაიარა. თეატრის დარბაზი სავსე იყო. 300 მამაკაცთა შორის, ორი ევროპიულათ ჩაცმული სომხის ქალი გამოჩნდა (სომხის სკოლის მასწავლებელნი) და პირველ რიგში ალაგი დაიკავეს. ეს თითქოს განგებ მოწყობილი დემონსტრაცია იყო. ამით ისინი თითქოს ეუბნებოდენ სპარსელებს, კმარა სპარსელ ქალთა დაჩაგვრაო...

## უკანასკნელი ფოსტა

### რუსეთი

**დეპ. ჩხეიძემ** პეტ. სახალხო თავისუფლების პარტიის წევრ სტუდენტების ცენ. კომიტეტისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: „პეტ. სახალხო თავისუფლების პარტიის სტუდენტების ცენტრალური კომიტეტის სახელით ჩვენს თანაგრძნობას და ღრმა მადლობას გიცხადებთ თქვენ და თქვენს ამხანაგებს რუსეთის სტუდენტობის მედგარი გამოქომაგებისათვის.

თავმჯდომარე ბუბაკოვი, თავმჯდ. ამხანაგი ნოვიცკი".

**დეპუტაცია ს. დ. ფრაქციაში.** 8 მარტს სახ. დუმის სოციალდემოკრატიულ ფრაქციაში მივიდა დეპუტაციაში პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებისაგან, რომელმაც ფრაქციას მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადა მოსწავლე ახალგაზდობის გამოსარჩლებისათვის.

**დეპუტატმა გეგეჭკორმა** მოსკოვიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: „მოსკოვში მყოფი უკრაინელი სტუდენტები, აღშფოთებულნი სახელ. დუმის პრეზიდიუმის მოქმედებით, ღრმა მადლობას უცხადებს სოციალდ-ემოკრატიულ ფრაქციას და შრომის ჯგუფს, რომლებმაც თავს იდვეს მოსწავლე ახალგაზრდობის დაცვა".

**კრების აკრძალვა.** 8 მარტს მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტების წარმომადგენლებმა (მათ შორის იყო ქემშ. რუს. სტუდენტთა ჯგუფის თავმჯდომარეც) რექტორს მიმართეს და სთხოვეს ნება დაერთო მოეწვიათ სტუდენტების საერთო კრება სახ. დუმაში მომხდარ უკანასკნელ ინციდენტის გამო.

პროტესტის გამოსაცხადებლათ რექტორმა სტუდენტებს ნებართვა არ მისცა, რადგან არ სურდა პასუხის გება თავის თავზე აეღო. რექტორი დაპირდა სტუდენტებს,—თქვენს თხოვნას პროფესორთა საბჭოს გადავცემ განსახილველათო.

**კომერციულ ინსტიტუტში.** მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტის სტუდენტთა შორის დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია პურიშკევიჩის მიერ სტუდენტობის შეურაცყოფამ. სტუდენტების კერძო ჯგუფებში ამ საკითხის გამო გაცხარებული კამათია. აზრათ აქვთ სტუდენტების საერთო კრება მოიწვიან, თუ ნებართვა მიიღეს.

**დამტვრეული პიუპიტრები.** სახ. დუმის გამკარგულებელმა კომისიამ დაადგინა, რომ უკანასკნელი უწესოების დროს დამტვრეული პიუპიტრები იმ დეპუტატების ხარჯზე გააკეთონ, რომლებმაც ეს პიუპიტრები დაამტვრიეს.

---

გარედ გავიდა სიმონა
ველარ გაჩერდა შინათ!
აქაც ფიქრები გამოჰყვენ
ისევ მოსტაცეს გონება,
კედელთან მიჯდა, ცოლშვილის
კვალად დაიწყო გონება,
ვერსაით ჰპოვა ნუგეში
გულმა დაუწყო ღონება,
ვინც კი უყვარდა ტყვედ უჩნდა
სტანჯავდა მათი მონება!..
სურნელოვნება ყვავილთა
ნიავს დაჰქონდა ველადა,
ციაგზე მთვარე მოსჩანდა
მცურავი უდარდელადა,
მკრთალი სხივები შვენოდა
ძირს არე-მარეს იმისა,
რაც არსებობდა გარშემო,
სახე სდებოდა ღიმისა!
მტკვარი დუდუნით მძინარეთ
ეხლაც უმღერდა ტკბილადა,
მოდარაჯობა იმას ერთს
თითქოს რგებოდა წილადა.
მთვარის სხივები იმასაც
უალერსებდენ, ჰკოცნიდენ,
ცასა ჰკაზმავდენ ვარსკვლავნი, —
ტურფა გვირგვინად ჰყოფნიდენ...
ხმა მოისმოდა, მახლობლად
მღეროდა ვიღაც ასული,
ნარნარ კილოში უჩანდა
სიამე და სიხარული!
ვითა ბულბული უგალობს
ვარდს საამური სტვენითა,
და მოჭიკჭიკე მერცხალი
ცას შესთამაშებს ლხენითა;
ისე ასულიც სატრფოსკენ
მიჰქროდა აღმა ფრენითა,
გული მიეძღვნა და ჩონგურს
ასე ამღერდა ენითა:

„ჩემთან მოდი ჩემო კარგო
შენ გეკუთვნის ჩემი მღერა,
ხელი ვკიდოთ, ერთად ვზიდოთ
მომღიმარი ბედის წერა!
მთვარის სხივი გულში მეკვრის,
მე მიცინის ვარსკვლავთ კრება,
შენ მიყვარხარ მომიფრინდი
და სხვა არც რა მენატრება!
ვითა ია გულმკერდ ღია
ვიღიმილებ შენთან მარად,
ჩემთან მოდი, ჩემთან მოდი,
გიალერსებ შეუდარად!.."
ლახვრად მისწვდა და სიმონას
დაუარა ამ სიმღერამ,
მთლიად უბედურს ბედნიერის
დაანახვა ბედის წერამ,
ძარღვში სისხლმა ჩქეფა უწყო
მოუმატა გულის ძგერამ,
მკვნესარ ხმასთან ბევრი რამ სთქვა
მხიარული ჩანგის ჟღერამ!
სთქვა რომ ერის ცრემლთა დენას
მეორესი ეშვა შვება,
რომ შრომაზე ძარცვა გლეჯას
დარჩენოდა გამარჯვება;
სთქვა რომ გრძნობა სამეგობრო
სხვისთვისა აქვს განცხრომის შვილს,
რომ არას დროს არ აღირსებს
იგი იმას ბედით დასჯილს;
სთქვა რომ სიტკბო სილამაზე
დაუპყრია ბოროტ ძალას,
და წმინდა გზა მთლიად მოუცავს
ყორანის ხმას და სამსალას...
სთქვა და ეს თქმა სიმონაში
გადაიქცა კითხვად ბოლოს;
ნუ თუ ბედმა საფლავამდის
ეს დღე უნდა მიმაყოლოს?!
რისთვის ვიშვი და ან რისთვის
კაცის სახე დამყვა თანა

თუ გულიდან არ ამცდება
კაცისავე ბასრი დანა?!
რაც არა მაქვს რისთვის არ მაქვს
დედინაცვლად რათ მყავს ხანა,
სხვისი სურვილ—მისწრაფების
სამსხვერპლო ვარ ქვეყნად განა?!
თვით განგება ზეციური
რად მრისხანებს ჩემთვის მარად,
ნუ თუ ისიც გარდაქმნილა
განცხრომის ძის მეგობარად?!
თუ კი ვისმეს შველის იგი
რად მივიწყებს ბედის ეულს,
ერთხელ მაინც რათ არ მომხსნის
სევდას გულზე შემოხვეულს?!
თუ არსებობს ყოვლად არსთან
მიუწევდა როსმე კვნესა,
და თუ დღემდე არ მიშველა
შემიბრალებს რისთვის დღესა?!..
ან სამშობლო მშობლიურ ხელს
რათ არ უსვამს ჩემს იარას,
ტურფა მკერდში სხვას რომ იკრავს
მეუბნება აბა მე რას?!
„გიყვარდესო" და არცა მძულს
ვეტრფი იმის თითო ხის ძირს,
და ეს მხოლოდ მიორკეცებს
სევდა-ვარამს და გასაჭირს!
მის წიაღში ყოფნა მინდა
შორეს კი ვარ მისგან მუდამ,
თითქოს გრძნობა მძულვარების
უანდერძა მას იუდამ!
და დევნილმა, უარყოფილმა
თუ ვახსენე სხვისად იგი,
ყორანი ხმას მოიმარჯვებს
და სმენაა ჩემი რიგი!
ვისაც ვეტრფი სიყვარულით
მიპასუხოს უნდა მანაც,
მხოლოდ ამ დროს სამეგობროდ
ცაც კარგია და ქვეყანაც.

თორემ გრძნობა დედი ნაცვლის
გამიტაცებს რისთვის და რად,
როდის იყო რომ გერს იმან
უალერსა შეუდარად?!!
რაცა ვსცოცხლობ შეცოდება
არავისთა მაგონდება,
გულში მწარე ტკივილსა ვგრძნობ
ჩემთან რომ სხვა დაღონდება,
სიცოცხლე მსურს და სიყვარულს,
გუნდრუკს უკმევს ჩემი გრძნობა,
სულ, სულ თავში მიტრ ალებს
„მეგობარი", „თანაგრძნობა"!
მაგრამ არსით ხელს არ ვხედავ
ჩემთან საძმოთ გამოშვერილს,
და წერტილებს არავინ შლის
შავი დროის ჩამოწერილს!!!
ნაზი გრძნობა გულის ფიცარს
მომაგლიჯონ უნდათ ხელით,
და ვით ნივთი მამოძრაონ
კაცის სახე—სამოსელით!
ეს კი ნიშნავს—არსებობას
მომაშორონ, სატრფო გამყონ,
და მეც გულში ნაღველს ვლესავ,—
და, აწ მტრებმა ხელი ჩამყონ!..
ან დავიცავ შეყვარებულს
ან მოვჰკვდები იმის მსხვერპლად,
ბრძოლის ცეცხლი მისთვის არის
ვინმე იქცეს ნაცარ-ფერფლად!
და თუ დღემდე მწარე ხვედრი
გადავიტანე ვხარე ქედი,
არ მინდოდა ბრძოლის ველზე
დამეცადა ჩემი ბედი!
მიფიქრია: დე ვიტანჯო,
ცოცხალი ვარ მაინც კიდე,
იქ კი, ვაჰ თუ დავიღუპო,
მტრის რაზმს ველარ გაუვიდე!
მაგრამ ეხლა ვხედავ ტანჯვა
სასიკვდილოს მიყრის ისარს

და მეც აბა რისთვის დავთმობ
უბრძოლველად გულის ფიცარს?!!
შენ ქალწულო მშვენიერო
ახმატკბილე ისევ ჩანგი,
ცნობას ჰბადებს ამ ჩემს გულში
მომხიბლავი შენი ჰანგი!
სად მე ვარ და სად ცხოვრება—
მშვენიერად ვიცი, ვხედავ,
ჩემთვის დახშულ იმის კარებს,
ხელი ვახლო აწი ვბედავ!
გზად და ხიდად მიჩანს ძვლები
იმ კარებთან მკვდარი ძმების,
უნდა ვზიდო გაგრძელება
მათი სურვილ-იმედების,
სხვაც მოსძებნის სამლოცველოს
ვინც კი არის ჩემი ბედის,
და დასასრულს შეეყრება
სატრფოს ცრემლი, გლოვა დედის!..

მთვარე ისევ მოხდენილად
ცის სივრცეში დასცურავდა,
მოკეკლუცე თავის სხივებს
არე მარეს ახურავდა!
ტურფა მდელოს და ველ-მინდორს
შეჰხაროდა სული, გული,
განუსაზღვრელ სივრცეს ფლობდენ
სიცოცხლე და სიყვარული!
„ჩვენთან მოდი სამეგობროდ
ნუ მოელი მზგავსის შოვნას,
ეს გულ-მკერდი შენც გეკუთნის,—
მოისმოდა ხმა სიმონას..."
„სხვა გზა არც მაქვს, მხოლოდ თქვენთან
უხარია სურვილ—ნებას,
და ბორკილო აწ გავსწორდეთ,—
გაუმარჯოს შურის გებას!.."
ეს სიტყვები აზრად დარჩენ
მოეხვიენ სიცოცხლის ძაფს,
და სიმონა მის პატრონად
დაუბრუნდა ისევ სარდაფს!..

**რ. ლეჩხუმელი.**

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კიევის „ჭ. რ. კავშირმა“** სახ. დუმის ყოფილ თავმჯდომარეს ნ. ა. ხომიაკოვს დეპეშა გაუგზავნა, რომლითაც „წრფელ სიხარულს აცხადებს იმის გამო, რომ ხომიაკოვმა როგორც იქნა გაბედა რუსეთის წარმომადგენლობით დაწესებულებაში თავმჯდომარეობაზე უარი განეცხადებია“.

**დემონსტრაცია „კაპუსტნიკზე“.** 8 მარტს სამხატვრო თეატრში „კაპუსტნიკზე“ (სადიდმარხვო საღამო) მსახიობმა მალიევმა დამსწრეთ აცნობა, რომ სახ. დუმის თავმჯდომარეთ ა. ი. გუჩკოვი აირჩიესო. ამ ცნობას „კაპუსტნიკზე“ დასწრე საზოგადოება საშინელი სტვენით შეხვდა.

## ქართველები მორეულ-აღმოსავლეთში

(წერილი ხარბინიდან).

(დასასრული).

ქართველს ყოველგან კარს უკეტავდენ, მას არავითარ დაწესებულებაში, არსად საქმეს არ აძლევდენ, რამაც, თქმა არ უნდა, ენით გამოუთქმელ უნუგეშო მდგომარეობაში ჩააგდო ახალშენის დიდი ნაწილი.

ამ გვარმა მიზეზებმა კვლავ წარმოშვეს უვარგისი მოვლენები: დამცემლობა-ძარცვა-გლეჯა ქართველებში, რამაც ამ მოკლე ხანში რამოდენიმე ქართველიც იმსხვერპლა და ამით ხომ დამწვარს მდუღარე გადაესხა. ეხლა დაცემა-მოტაცება ქართველის სპეციფიკურ თვისებათ გამოაცხადეს. სხვამ რომ ჩაიდინოს რაიმე უმგზავსოება, იმასაც ქართველს აბრალებენ, სხვამ ქვეყანა რომ დააქციოს არაფერია, ქართველმა სულ მცირე დანაშაულობაც რომ ჩაიდინოს—ქვეყნის დაქცევაა. გაზეთების დღიური ქრონიკა ყოველ დღე სავსეა მაგალითად ათასგვარი შემაძრწუნებელი ამბებით, რომლებიც ჩაუდენია რუსს, ჩინელს ან საზოგადოთ სხვა რომელიმე ნაციის წარმომადგენელს, პირდაპირ გულის შემზარავ ამბებს წაიკითხავთ: იქ მთელი ოჯახი ამოსწყვიტეს პატარა ბალღებით, აქ კაცს ყელი გამოსჭრეს რაღაც ორი გროშისთვის, იქ კიდევ მხეცური ძალმომრეობით გახრწნა მცირე წლოვან ქალებისა, ქურდობა ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი უმგზავსოება. ყველა ეს ხდება 7—8 ვერსის სიგრძე-სიგანეზე, ყველას თვალწინ, მაგრამ როცა მას ჩადის არა ქართველი, ის არაფერია. სრულებითაც არაა პასუხის მგებელი რუსობა, ჩინელები და სხვა, როცა მათი თანამემამულე რაიმე უმსგავსოებას ჩადის, მაგრამ ქართველის შესახებ სულ სხვა საზომია. არავითარი ფიცი და მტკიცი არ გაგივათ, რომ ქართველი და ყაჩაღი,-მკვლელი ერთი და იგივე არაა. რეაქციონურ-ბურჟუაზიულ საზოგადოებას და პრესას, გარდა საზოგადოების იმ ნაწილისა, რომელიც მოკლებულიც არაა საღ მსჯელობის უნარს, თქვენთვის მუდამ ერთი პასუხი აქვთ: „ვიცით ვინც არიან ქართველები, კარგათ ვხედავთ მათ ციხე-კატორღა-სახრჩობელაზეო“.

ამგვარათ მდგომარეობა პირდაპირ აუტანელი შეიქნა და აი, ამან აალაპარაკა თითო-ოროლა წევრი ახალშენის: ვცადოთ რაიმე, გამოვნახოთ რაიმე საშუალება ამ კრიტიკულ მდგომარეობიდან გამოსასვლელათო. ეს ხმა თანდათან გაძლიერდა და ბოლოს, როგორც იქნა აიღეს ნებართვა ვისგანაც ჯერ-იყო და გაიმართა საერთო კრება. კრებაზე გამოითქვა სხვადასხვა აზრი თუ როგორ უშველონ საქმეს; ზოგი მაგალითად, აღნიშნავდა რა არსებულ მდგომარეობას, ბრალს სდებდა ყველაფერში ახალშენის იმ წევრებს, რომლებიც ამ დაცემებს ახდენდენ და იმუქრებოდენ: „გასაწყვეტია მაგენიო“, მაგრამ ბევრი სამართლიანათ შენიშნავდა, რომ ესენი ჩვენ, საზოგადოებამ შევქენით, რომ ისინი შედეგია საზოგადოებრივ მოუწყობლობის, ცხოვრების უკუღმართ პირობების, არა ერთხელ ყოფილა, რომ მათ მოუმართავთ ბევრ ჩვენგანისთვის დავხმარებოდით რაიმე, მაგრამ ჩვენ ხელი გვიკრავს და რაღა გასაკვირალია, რომ ამის შემდეგ მათ რაიმე დანაშაულობა ჩაიდინონ. ბოლოს გადაწყდა „საზოგადოების“ დაარსება, სადაც წევრებათ შევლენ ყველა ქართველი და რომლის მიზანი იქნება: გაუწიოს მატერიალური დახმარება სხვადასხვა სახით მანჯურიაში მცხოვრებ ქართველებს, გამოუნახონ საქმე და გაუწიონ თავმდებობა უსაქმოთ მყოფ „საზოგადოების“ წევრებს, იქონიონ საზოგადოებრივი გავლენა „საზოგადოების“ ურჩ წევრებზე და ერთი სიტყვით, იხმარონ ყოველი საშუალება ქართველის დაცემული პრესტიჟის აღსადგენათ, საზოგადოებაში არსებულ ქართველზე ყალბ წარმოდგენის გასაფანტავათ. „საზოგადოების“ თანხა უნდა შესდგეს: საწევრო გადასახადიდან, შემოწირულებიდან და „საზოგადოების“ მიერ გამართულ სპექტაკლ-კონცერტების საშუალებიდან. წესდება წარუდგინეს ადგილობრივ მთავრობას, რომელიც რამოდენიმე ცვლილებით დამტკიცებულ იქნა. ამის შემდეგ კვლავ გაიმართა საერთო კრება და „საზოგადოებაში“ წევრების ჩაწერის შემდეგ, აირჩიეს გამგეობა და სარევიზიო კომისია. გამგეობის თავმჯდომარეთ თითქმის ერთხმათ არჩეულ იქნა ნ. წულუკიძე, რომელმაც, სიმართლე უნდა ითქვას, დიდი უნარი და ენერგია გამოიჩინა „საზოგადოების“ დაარსებაში.

უკანასკნელ საერთო კრებაზე, თებერვლის შუა რიცხვებში, რომელზედაც სხვადასხვა კითხვების გარჩევასთან ერთად გამგეობამ წაიკითხა, მოხსენება „საზოგადოების“ მოქმედების შესახებ, ნათლად გამოჩდა, რომ „საზოგადოება“ თანდათან მაგრდება, წევრების რიცხვი და თანხა სწრაფათ იზრდება, რომ მან, მიუხედავათ მისი ჯერ ხან-მოკლე არსებობისა, უკვე დაიმსახურა ადგილობრივ პროგრესიულ საზოგადოების ფართო ყურადღება, რომ მას უკვე ანგარიშს უწევენ და სხვა, რაიც კრების გათავებისას აღნიშნა გამგეობის თავმჯდომარემ ნ. წულუკიძემ თავის მოკლე, მაგრამ შინაარსიან სიტყვაში და მოუწოდა კრებას მეტის ხალისით და ინტერესით მოკიდებოდენ საქმეს. სიტყვამ ხანგრძლივი საერთო ტაშისცემა გამოიწვია...

ტ. აბრამიძე.

## პროვინცია

**ბორჯომის ხეობა.** ხეობელ გლეხებს ლეკიანობის დრო დაუდგათ: სცემენ ყველას ბრუნდ და მართალს. ისე დღე არ გაივლის რამდენიმე გლეხს რომ მათრახებით არ აუჭრელონ ზურგი. თებერვლის შუა რიცხვებში ძალზე ნაცემი აღმოჩნდა. სოფ. ყვიბისის მცხოვრები გლეხნი: ერმინე და ალექსანდრე ტალახაძენი, კიკო ბლიაძე, ვანო თედოს ძე გელაშვილი, სოლო ბურჯანაძე, დათიკო გელაშვილი და მოხუცებული მმობლები გავარდნილ წითელ რაზმელის ტალახაძისა. ბორჯომიდან ნაცემთა მისაშველებლათ გაიწვიეს დიდი მთავრის მამულის ფერშალი. თებერვლის ბოლო რიცხვებში გაამეთრახეს სოფ. თორთლის, თუსრების და თონეთის გლეხნი: იოსებ ფილიშვილი, თომაშვილი ი., გიგო გელაშვილი, როსე ხუბიაშვილი და სხვ.

მიზეზი ღმერთმა უწყის. სწორეთ აუტანელი მდგომარეობა შეიქნა ბორჯომის ხეობაში გლეხებისთვის, რომელთაც ცემა-ტყეპის გარდა, უზომო გადასახადებით ღამის არის სული ამოართვან. სულ რომ მცირე ვიანგარიშოთ: ამ ერთი წლის განმავლობაში ხეობას და განსაკუთრებით სოფლებ: ყვიბის, ახალდაბას, ნეძვს, ჭაჭარაკს, წაღვერს, ცემს, სადგერს, ბაკურიანს, ვაშლოვანს, დაბას, ტიმოთის უბანს, ზეთამზიას, ჭობისხევს გადახდათ ეგზეკუციებში, „სტრაჟის“ შესანახათ და მთავრობის მოხელეების გამასპინძლებაში ექვსას თუმნამდე ფულათ. ამ ჟამათ ხალხს ბორჯომის სასტუმრო „ცენტრალი“ და „გრეციის“ პატრონებმა წარუდგინეს 25 თუმნის ანგარიში მოხელეთა ხარჯისა. გადახდაზე ჯერ-ჯერობით უარი სთქვეს გლეხებმა. ამათ ბოქაულმა გადაიჯავრა „პრიგოვორი“ ჩამოართვა, რითაც გლეხებს ევალებათ ყოფილ წითელ რაზმელის სიკო ტალახაძის დაჭერა და მის დამჭერის სასარგებლოთ ერთ დროულათ 3,000 მ. და ყოველწლიურათ 600 მ. პენსიის გადახდა. სოფ. ახალდაბაში მთავრობის მიერ დაყენებულმა „ზოთოშნიკმა“ იოსებ მამცელიძეს სცემა ერმილოზ ჭუმბურიძე, რომელმაც ამის შესახებ საჩივარი უკვე აღძრა.

ბორჯომიდან და სოფლებიდან 5 წლით ასტრახანის გუბერნიაში გადაასახლეს არჩილ ნოზაძე, გ. ფასუაშვილი, ლაზო კაჭუნაშვილი, სანდრო მარგველაშვილი, ვასო მიქაბერიძე და ბევრ სხვასაც უპირებენ გადასახლებას.

რაც შეეხება კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებს. თამამათ შემიძლია ვსთქვა, რომ ამ მხრივ ბორჯომის ხეობას თვით პირიქით ხევსურეთმაც გაუსწრო. სკოლების რიცხვი მცირეა, სამაგიეროთ სამიკიტნოთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს. თვით ბორჯომში ეს ერთი წელიწადია გაიძახიან ქ. შ. წ. გ. საზ. განყოფილების დაარსებაზე, მაგრამ დღემდე ამ საქმესაც არა ეშველა-რა. ბორჯომის სკოლებში, გარდა სამრევლოსი, ქართულს სრულებით არ ასწავლიან. თუმცა 80 პროც. მოწაფეებისა ქართველები არიან. არსებობს კლუბი, ეს ბანქოს მოთამაშეთა დაწესებულება, მგონი ბიბლიოთეკის მსგავსი რაღაც უნდა იყოს კლუბთან, მაგრამ მდაბიო კლასისთვის ესეც მიუწდომელია. უოველგვარმა სისაძაგლემ მოიკიდა ფეხი ბორჯომში: გაჭრებმა ფასებს მოუმატეს. ბორჯომის მამულის გამგეობა ქართველ მოხელეებს ითხოვს სამსახურიდან (დაითხოვეს გ. ყიფიანი, მ. იაშვილი და სხ.) გლეხებს გადასახადებს უმატებს და სხვა ამგვარი. შველა კი არსაიდან არის.

„იმერი“.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართველ მსახიობთა ამხანაგობა** შესდგა და დღეიდან იწყებს მოქმედებას ქართულ თეატრში. ამხანაგობაში ირიცხებიან ქ-ნნი: ტ. აბაშიძე, ნ. გამრეკელიძე, ა. კარგარეთელი, ნ. კოლხიდელი, ბ. ნებიერიძე. ბ-ნი: გ. აბაშიძე, ვ. გუნია, ვ. გამრეკელიძე, გ. ბედევანოვი, ალ. იმედაშვილი, ი. იმედაშვილი-ხაშმელი, კ. იმხნელი, დ. მგალობლიშვილი, შ. საფაროვი, კ. ჭელიძე.

**საგასტროლოთ მოწვეულნი** არიან ნატ. მერ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. ჩხეიძე, პ. ყიფიანი. რეჟისორათ მოწვეულია ვალ. გუნია, სუფლიორათ ბ. ბეგლარიძე. საქმეების გამგეა ამხანაგობა.

**რეპერტუარი:** „მეგობრობა“, ნ. შიუკაშვილისა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, ლ. ანდრეევისა, „სამეგრელოს მთავარი ლევანი“ გ. ყიფიანისა, „ღალატი“ ა. სუმბათაშვილისა და სხ. ფასები ძლიერ დაკლებულია.

## წერილი რედაქციის მიმართ

ჩვენ, თფილისის სქ. სადგურის მუშათა ერთი ნაწილი სასტიკათ ვკიცხავთ ირაკლი მ—ძის საქციელს, რაცა გამოიხატა მუშების ერთი ჯგუფის შეერუზე ამხედრებაში. ასეთ მის საქციელს არა ერთხელ უჩენია თავი, მარა უკანასკნელ ნება-დართულ კრებაზე ულაველიგე მოლოდინს გადააჭარბა, რასაც არასასურველი შედეგი მოჰყვა.

გიორგი ფილია, მელიტონ კალანდაძე, იორდანე გორდელაძე, ილია კაკაძე, ილიკო ლომთაძე, ახთიმოზ მეტრეველი, გერმანე პაიჭაძე, ტარიელ ჟღენია, ილია კალანდაძე, ალექსანდრე კობახიძე, თედო მასურაძე, ევტიხი ჩიგოგიძე, სეიდან დოლიძე, რაფიელ ლომთათიძე, დომენტი თალაკვაძე, ფარნა დოლიძე, სიმონ ბერაძე, კოტე დოლიძე, არტემ წიქარიძე, სამსონ მამალაძე, ავრასიონ ლომთათიძე.

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე

## განცხადება

კბილის საექიმო კაბინეტი

**იოხველისა**

(„გაუფრთხილდით კბილებს“ს ავტორის, ფასი 15 კ.) კბილების აქიმობა, ღრძილების, ძირების და პირიდან ცუდი სუნის. ხელოვნური კბილების ჩასმა. მიხაილოვის ქუჩა, 124, კბილის საექ. სკოლის გვერდით (100—31)

კახეთის მევენახეთა ამხანაგობა

**ხირსა**

გაიხსნა ოლგისა და ბელინსკის ქუჩების კუთხეში ტატო გაბაშვილის შენობის სარდაფში.

იყიდება ნამდვილი კახური ღვინო ძლიერ იაფად ბოთლი —15-დან—30 კაპეიკამდე. (0—21)

**ქუთაისში**

კიწმარაშვილის და ამხანაგობის

**თესლეულობის მაღაზიაში**

მიღებულია სხვადასხვა ახალი ბოსტნეულობის, ყვავილის და ბალახების: იონჯის, სამყურის და კონდრის თესლეულობა.

აქვე იყიდება საგანგებოთ დამზადებული ძმების პასხალიდის თეთრი აბრეშუმის თესლი. მსურველთ ეგზავნებათ სურათებიანი კატალოგი უფასოთ. (25—4)

ვიდებ

**ყოველნაირ საკერავს**

კაბებს და თეთრეულს, ამასთან ვიყვან შეგირდებს ყოველნაირ ხელოსნობისას.

მიხაილოვის ქუჩა № 23 მ. მელიტაური 0—4

კახეთის მევენახეთა ღვინის დამყენებელი გლეხთა ამხანაგობა „კახეთი“

Товарищество крестьянских кахетинских виноделовъ-садовладельцевъ „Кахетiя“

ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა საბაკალეინო მაღაზიებში, სასმელების დუქანში, ტრაქტირებში და სასტუმროებში.

10 ბოთლს ზევით უგზავნით ვუმთავრესი საწყობიდან ჩვენის ხარჯით მხოლოდ თფილისში.

По такому этикету продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведенiяхъ.

Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.

უმთავრეს საწყობიდან ღვინო დაეთმობათ შემდეგ ფასებში:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| № 1 | „ | — 20 к. | 16 | „ | — 3 р. |
| № 2 | „ | — 25 к. | 16 | „ | — 3 р. 60 к. |
| № ” | | — 35 к. | 16 | „ | — 5 р. 10 к. |
| | „ | — 50 к. | 16 | „ | — 7 р. |

Адресъ: Тифлисъ, мухранская ул. д № 18 Михаилу Николаевичу Кодалову.

დიდი იაფი ვაჭრობა კიდევ ექვს დღეს

# პ. ს. დოროფეევი

სოლოლაკის ქუჩა, გურგენოვის სახლი, ტელ. № 583

რომ მთლათ გაიყიდოს იაფ ფასებში გასაყიდათ დანიშნული საქონელი,

**იაფი ვაჭრობა გრძელდება კიდევ ექვს დღეს!**

**ე. ი. 15, 16, 17, 18, 19 და 20 მარტს**

ყველა დარჩენილი საქონლები

ზემოაღნიშნულ დღეებში,

გაიყიდება იმავ იაფ ფასებში.

## საოცარი იაფი ფასები

**ნანსუკი** საცვლებისათვის ძალიან მაგარი 10 კაპიკიდან არშინი.

**მოლოპალამი** მაღალი ღირსების ყოველგვარ საცვლებისათვის 14 კაპეიკიდან არშინი.

**ნამდვილი ტილო,** მაღალი ღირსების, განიერი 24 კაპეიკიდან.

**მაგარი ტილო,** ჭურჭლების საწმენდი 7 კაპეიკიდან არშინი.

**სარატოვის** სარპინკა, ხელით ნაქარგი 10 კაპეიკიდან არშინი.

**ძალიან მაგარი** ქსოვილი 14 კაპეიკიდან არშინი.

**ფრანგული** ფერადი ტილო, ყოველგვარ საცვლებისათვის 14 კ. არშინი.

**ტუალსაკი,** გროსტუსალ, არაბი, გარუსი და ბეჟი, ძლიერ გამოსადეგი.

**ქსოვილი,** ქალთა კოსტიუმებისათვის 18 კაპეიკიდან არშინი.

**შალის მატერიები,** სხვა ფასონის, 45 კაპეიკიდან არშინი.

**შოტლანდა, შალის,** მაღალ ხარისხის, 55 კ. არშინი.

**შალის მატერია პანამა,** ქალთა კოსტიუმებისათვის 65 კაპეიკიდან არშინი.

**შალვრისთვის ტრიკო,** თითო შალვრისთვის ნაჭრებათ, 2 მ. და 10 კ. თითო ნაჭერი.

**ტრიკო მამაკაცის მთელ** კოსტიუმისათვის, 5 მანეთი და 25 კაპეიკიდან ნაჭერი.

**დარჩენილი ნაჭრები:** მაუდის, შალის, ტრიკოსი, ტიკოსი და სხვა სამანუფაქტურო საქონელი.

**ყოველ გვარი** საცვლები კაცის და ქალის, ჩულქები, ტასკები, იუბკები, ზედა და ქვედა, ღალსტუკები და სხვა.

მოდიდან გამოსული საქონლები, რომლებიც წინათ იყვნენ გამოფენილი გაიყიდებიან ნამდვილ ფასზე 75%-ის დაკლებით.

შეკერილ საცვლების განყოფილებაში ამ სეზონიდან იქნება **ქოლგები** კაცის და ქალის, რომლებიც მიღებულია სხვადასხვა გვარი. პირველათ ძლიერ იაფათ გაიყიდება.

ამ სეზონისთვის ყველა სპეციალურ განყოფილებებისთვის ვღებულობთ მრავალ სხვადასხვა საქონელს. ქალაქ გარეთ მეიდველებს გაეგზავნებათ საქონლების იმუში უფასოთ.

პ. დოროფეევი